კომერციული ბანკი - სს „ლიბერთი ბანკი-ს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 203828304) მიმართ დაკისრებული სანქციის (ფულადი ჯარიმა) თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკი - სს „ლიბერთი ბანკი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 203828304, ლიცენზიის ნომერი №0110247) „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის 8[6] პუნქტის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობითი მითითების შეუსრულებლობისთვის 10,000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით დააჯარიმა. აღნიშნული სანქცია (ფულადი ჯარიმა) მოიცავს „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებით დამტკიცებული წესიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობითი მითითების შეუსრულებლობის შემთხვევას.